ბრძანება:**ბ23.23221171**
თარიღი:**27/04/2022**

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ**

,,გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის N44 13 განკარგულების „ზესტაფონის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის, ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო, შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვახტანგ ღამბაშიძე - (კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) ირმა გიორგაძე - (თავმჯდომარის მოადგილე) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი კაკოიშვილი - (კომისიის წევრი) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

დ) მაია ჩხეიძე - (კომისიის წევრი) ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ე) ნუგზარ ფერაძე - (კომისიის წევრი) ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

ვ) ელისო ბოგვერაძე - (კომისიის წევრი) საკრებულოს წევრი;

ზ) მარინე ცქიფურიშვილი - (კომისიის მდივანი) საკრებულოს აპარატის სპეციალისტი;

თ) ილია ფუტკარაძე - (კომისიის წევრი) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ი) ნათელა შარიქაძე - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წწლის 23 თებერვლის N№23.23220542 ბრძანება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“.

3. ბრძანება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი